# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

| | |
|---|---|
| საწარმოს დასახელება | იმკ+ |
| ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202454673 |
| მისამართი | ქ.თბილისი ჩაჩავას ქ.8 |
| საქმიანობის დარგი | მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი |

| | 31.12.2019 წ. | 31.12.2018 წ. |
|---|---|---|
| *აქტივები* | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 140 | 30005 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 1413404 | 2431887 |
| გადახდილი ავანსები | | |
| მარაგები | 2605884 | 2567669 |
| -მზა პროდუქცია | 2605884 | 2567669 |
| -სხვა | | |
| *საინვესტიციო ქონება* | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 26994 | 14135 |
| ბიოლოგიური აქტივები | | |
| *- თვითღირებულების მოდელით* | | |
| *- გადაფასების მოდელით* | | |
| *გუდვილი* | | |
| *სხვა არამატერიალური აქტივები* | | |
| ძირითადი საშუალებები | | 995 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | |
| *ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში* | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **სულ აქტივები** | 4,046,422 | 5,044,691 |
| | | |
| *საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები* | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 5376600 | 5497190 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | | |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 77683 | 835604 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | | |
| მიღებული გრანტები | | |
| სხვა ვალდებულებები | | 30 |
| **სულ ვალდებულებები** | 5454283 | 6332824 |
| საკუთარი კაპიტალი | | |
| საემისიო შემოსავალი | | |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | -1407861 | -1288133 |
| გადაფასების რეზერვი | | |
| სხვა რეზერვი | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | -1407861 | -1288133 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | 4046422 | 5044691 |
| | 0 | 0 |

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

| | | |
|---|---|---|
| მიღებული დივიდენდები | | |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | -118597 | -824639.07 |
| მოგების გადასახადი | | |
| **მოგება/ზარალი** | -118597 | -824639.07 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი): | | |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი | | |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | | |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ | 0 | 0 |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)** | -118597 | -824639.07 |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | -1288133 | -463494 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | -1130 | |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | |
| **კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | -1407860 | -1288133 |

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

## შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
## 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | |
|---|---|
| საწარმოს დასახელება | იმკ+ |
| ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202454673 |
| მისამართი | ქთბილისი ჩაჩავას ქ.8 |
| საქმიანობის დარგი | მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა |

ლარი

| | 2018 წ. | 2017 წ. | ნიშანი |
|---|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | 0 | 661414 | + |
| - საქონლის გაყიდვიდან | | | + |
| - მომსახურების გაწევიდან | | | + |
| - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | 661414 | + |
| - სხვა | | | + |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | -24 | -273172.5 | - |
| - საწყისი მარაგები | -2567669 | -2662509 | - |
| - მარაგების შესყიდვა | -38239 | -178332.5 | - |
| - გადამუშავების დანახარჯები | | | - |
| - საბოლოო მარაგები | 2605884 | 2567669 | + |
| **საერთო მოგება** | -24 | **388,242** | + |
| სხვა შემოსავალი | | 31233 | + |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | -545331 | - |
| ცვეთა/ამორტიზაცია | | -54 | - |
| იჯარის ხარჯი | | | - |
| საპროცენტო შემოსავალი | | 49.8 | + |
| საპროცენტო ხარჯი | -68266 | -58044 | - |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -50307 | -640734.37 | - |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | -118573 | **-1212880.57** | |
| **საოპერაციო მოგება** | -118597 | **(824,639)** | + |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება: | | | |
| ფინანსური აქტივები | | | |
| მარაგები | | | |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | | | |

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება
## 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

| | |
|---|---|
| საწარმოს დასახელება | იმკ+ |
| ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202454673 |
| მისამართი | ქ.თბილისი ჩაჩავას ქ.8 |
| საქმიანობის დარგი | მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა |

ლარი

| | 31.12.2019 წ. | 31.12.2018 წ. |
|---|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობა** | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 261130 | 903829 |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები | -115891 | -1096734 |
| სხვა | | 207076 |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები | 145239 | 14171 |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | -301520 |
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 145239 | -287349 |
| **საინვესტიციო საქმიანობა** | | |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | 0 | 0 |
| ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან | | 238830 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან | | |
| მიღებული პროცენტი | | |
| მიღებული დივიდენდები | | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები | 0 | 238830 |
| **საფინანსო საქმიანობა** | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან | | 1086360 |
| საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა | -149532 | -1043499 |
| სასესხო ძირის გადახდა | -25572 | -29157 |
| სესხის პროცენტის გადახდა | | |
| დივიდენდების გადახდა | | -11556 |
| საკურსო სხვაობა | | |
| ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | -175104 | 13704 |
| ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში | -29865 | -34815 |
| **ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის** | **30005** | **64820** |
| **ფულადი სახსრები წლის ბოლოს** | **140** | **30005** |

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შპს

„იმკ+ -202454673“

# ფინანსური ანგარიგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2019 წ

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -

5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნებია

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- <u>ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.</u>ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით და მსჯელობით.

- <u>ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.</u> ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ ამორტიზაციის დარიცხვისას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელების შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

- <u>გადასახადები</u> კომპანია ცდილობსმინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისას შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არააუდირებული წლისათვის, მაგრამ საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული მუხლების ინტერპრეტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო შემოწმებისას გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულება

- <u>სასამართლო დავები.</u> კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდენელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფიანანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელიგარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩევლების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება ამგავრ საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილება დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძველი

წინამადებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით. ფასებზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2017 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ (დისკონტირებული) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს
სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებს, რომკომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**შეფასების ვალუტა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი")

**ფუნქციონირებადი ვალუტა**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე,

კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კუსრისი მიხედვით. . კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.5922 | 3.1044 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.6766 | 3.0701 |

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**თავდაპირველი აღიარება** საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე.

**თავდაპირველი შეფასება** ფინანსურიაქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

**აღიარების შემდგომი შეფასება** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევისგარეშე, ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

**აქტივების თვითღირებულება** არის აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხა

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით".

**ამორტიზებული ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღაირებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით,

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;

კომპანია დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

**ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში

**გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

**ფული და ფულის ექვივალენტი**

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით,

**ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ,თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით.თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა,
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| მიწა | არ ცვდება |
| შენობა-მაგებობეი | 40 |
| მანქანა დანადგარები | 3-30 |
| ოფისის აღჭურვილობა | 2-15 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 3-15 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10-20 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 3-15 |
| ხელოვნების ნიმუშები | არ ცვდება |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | არ ცვდება |

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.
შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

**მარაგები**

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უნცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს , რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით

**დაბეგვრა**

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, განგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

**მოგების**
**გადასახადი**

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასხადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში.ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანისს დამფუძნებლებზე დივიდენდი გაცემის დროს. ასევე მოგების დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

საწარმოსვალდებულებაარისმისიმიმდინარევალდებულება, რომელიცწარმოიქმნაწარსულიმოვლენებისშედეგადდარომლისდასაფარადმოსალოდნელიაეკონომიკურსარგებელშიგანივთებ ულირესურსებისგასვლასაწარმოდან. სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

**საკუთარი კაპიტალი**

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი.საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიცი სშემცირებას, რაცგანაპირობა არა მომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

**ამონაგები**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგებისაღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარ შეთანხმებულ სარგებელს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი.

**სხვა შემოსავალი**
სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელსც და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

**ხარჯების**
**აღიარება**

ომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელის არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთანმოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

**თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასი, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგელობის დროს.
ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შევებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შენიშვნა 1

(ლარი)

ამონაგები

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | საკონსულტაციო მომსახურებიდან | | |
| 2 | სამშენებლო მომსახურებიდან | | 661,414 |
| 3 | საკურსო სხვაობიდან | | 29,700 |
| 4 | შემოსავალი წილის რეალიზაციიდან | | |
| | ამონაგები მიწოდებიდან | 0 | 691,114 |

შენიშვნა 2

(ლარი)

შეძენილი მომსახურების ხარჯები

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | ტექნიკის ქირავნობის ხარჯი | | 111,873 |
| 2 | საიჯარო ხარჯი | 2,647 | |
| 3 | საკონსულტაციო ხარჯი | | 25,275 |
| 4 | ელ.ენერგიის ხარჯი | 632 | 4,393 |
| 5 | ქვეკონტრაქტორების მომსახურების ხარჯი | | 21,175 |
| 6 | კომუნიკაციის ხარჯი | 2,128 | 6,480 |
| 7 | კომუნალური ხარჯები | 1,303 | 6,190 |
| 8 | საგადასახადო ხარჯი | | 3,513 |
| 9 | შრომის ანაზღაურების ხარჯი | | 545,331 |
| 10 | მივლინების ხარჯი | | 21,270 |
| 11 | საკურსო სხვაობის ხარჯი | 40,022 | 58,418 |
| 12 | საპროცენტო ხარჯი | 68,267 | 58,044 |
| 13 | სხვა ხარჯები | 3,597 | 16,471 |
| | ჯამი: | 118,596 | 878,433 |

შენიშვნა 3

(ლარი)

სხვა ხარჯები

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ხარჯი | | 604,562 |
| 2 | სხვა ხარჯები (რეალიზებული წილის ხარჯი) | | |
| | ჯამი: | 0 | 604,562 |

## პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

შენიშვნა 4

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში | (1,289,263) | (463,494) |
| 2 | ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში | | (1,130) |
| 3 | მიმდინარე წლის მოგება-ზარალი | (118,597) | (824,639) |
| | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს | -1,407,860 | -1,289,263 |

## ფულადი სახსრები

შენიშვნა 5

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი | 140 | 33 |
| 2 | ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა | | |
| 3 | ფული სალაროში | | 29,972 |
| | ჯამი: | 140 | 30,005 |

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 6

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1,413,404 | 2,431,887 |
| 2 | მოთხოვნები გაცემულ სესხზე | | |
| 3 | საგადასახადო აქტივი | 26,994 | 14,088 |
| 4 | მოთხოვნები სესხის პროცენტზე | | 47 |
| | ჯამი: | 1,440,398 | 2,446,022 |

## სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

შენიშვნა 7

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში | 2,567,669 | 2,662,509 |
| 2 | მარაგის ნაშთი წლის ბოლოს | 2,605,884 | 2,567,669 |
| | | 5,173,553 | 5,230,178 |

## ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 8

(ლარი)

| დასახელება | მანქანა დანადგარები | სამშენებლო მოწყობილობები | ოფისის აღჭურვილობა | კომპიუტერები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | | | სხვა გრძელვადიანი აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *საწყისი (ისტორიული) ღირებულება* | | | | | | | | | |
| ნაშთი: 31.12.2016 | 787662 | 1326731 | 19015 | 18109 | 9484 | | | 172498 | 2333499 |
| აქტივების შეძენა | | | 62 | 873 | | | | | |
| აქტივების გასვლა | -371421 | -805224 | | | -1424 | | | 80405 | |
| ნაშთი: 31.12.2017 | 416241 | 521507 | 19077 | 18982 | 8060 | 0 | 0 | 252903 | 1236770 |
| აქტივების შეძენა | | | | | | | | | 0 |
| აქტივების გასვლა | -416241 | -521507 | -19077 | -18982 | -8060 | | | -250404 | -1234271 |
| ნაშთი: 31.12.2018 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2499 | 2499 |
| აქტივების შეძენა | | | | | | | | | 0 |
| აქტივების გასვლა | | | | | | | | | 0 |
| ნაშთი: 31.12.2019 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2499 | 2499 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დარიცხული ცვეთა | | | | | | | | | |
| ნაშთი: 31.12.2016 | 126854 | 495107 | 8720 | 12438 | 6072 | | | 45994 | 695185 |
| ცვეთის დარიცხვა | 15420 | 58169 | 2546 | 2828 | 1652 | | | 6785 | 87400 |
| ცვეთის ჩამოწერა | -76679 | -221894 | -170 | | | | | -13794 | -312537 |
| ნაშთი: 31.12.2017 | 65595 | 331382 | 11096 | 15266 | 7724 | 0 | 0 | 38985 | 470048 |
| ცვეთის დარიცხვა | | | | | | | | 54 | 54 |
| ცვეთის ჩამოწერა | -65595 | -331382 | -11096 | -15266 | -7724 | | | -37535 | -468598 |
| ნაშთი: 31.12.2018 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1504 | 1504 |
| ცვეთის დარიცხვა | | | | | | | | | 0 |
| ცვეთის ჩამოწერა | | | | | | | | | 0 |
| ნაშთი: 31.12.2019 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1504 | 1504 |
| საბალანსო ღირებულება | | | | | | | | | |
| სნღ-31.12.2016 | 660808 | 831624 | 10295 | 5671 | 3412 | 0 | 0 | 126504 | 1,638,314 |
| სნღ-31.12.2017 | 350646 | 190125 | 7981 | 3716 | 336 | 0 | 0 | 213918 | 766,722 |
| სნღ-31.12.2018 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 995 | 995 |
| სნღ-31.12.2019 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 995 | 995 |

*ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.*

შენიშვნა 9

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | სავაჭრო ვალდებულებები | 5,376,600 | 5,497,190 |
| | ჯამი: | **5,376,600** | **5,497,190** |

შენიშვნა 10

## გრძელვადიანი სესხი

(ლარი)

| | დასახელება | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | ხალიკ ბანკი - სესხის ძირი | | 455,479 |
| 2 | შპს იმკ | | 497,070 |
| | ჯამი: | - | **952,549** |

შენიშვნა 11

## საგადასახადო ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | მოგების გადასახადი | | |
| 2 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 3 | დღგ | | |
| 4 | ქონების გადასახადი | | |
| 5 | მიწის გადასახადი | | |
| | ჯამი: | - | - |

შენიშვნა 12

## სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2019 | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 1 | ანგარიშვალდებული პირები | | |
| 2 | სახელფასო ვალდებულება | | |
| 3 | გადასახდელი სესხის პროცენტი | 77,653 | 35,769 |
| | ჯამი: | **77,653** | **35,769** |